IBSU
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
გატანთლების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ამერიკისმცოდნეობის პროგრამა

საზოგადოების მხარდაჭერის როგორც ეფექტური სტრატეგიის გამოყენება ეროვნული განათლების ლობირების პროცესში ინტერესთა ჯგუფების მიერ (ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული განათლების ინტერესთა ჯგუფების მაგალითზე 1990-2015)

ლაშა ქურდაშვილი
სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი ამერიკისმცოდნეობაში

თბილისი, 2017

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ირინა ბახტაძე

(სახელი, გვარი)

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი

(აკადემიური წოდება)

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. ასოც. პროფ. დოკტ. ლელა აბდუშელიშვილი
2. პროფ. დოქტ. ნიკა ჩიტაძე

ოპონენტები (ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. პროფ. დოქტ. შოთა დოღონაძე
2. პროფ. დოქტ. ცირა ჩიკვაიძე

შესავალი

ამერიკის შეერთებული შტატები ცნობილია როგორც საზოგადოებრივი გაერთიანებების, ე.წ. **ინტერესთა ჯგუფების** ქვეყანა. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოხდენის სტრუქტურა და სისტემა აშშ-ში დაფუძნებულია პლურალიზმის პრინციპებზე, რაც საშუალებას აძლევს ინტერესთა ჯგუფებს გახდნენ მნიშვნელოვანი აქტორები პოლიტიკურ ასპარეზზე. ლობირების მეთოდების, ეფექტური პოლიტიკისა და სტრატეგიების გამოყენებით ინტერესთა ჯგუფებს შეუძლიათ აქტიურად იყვნენ ჩართულნი საკანონმდებლო და აღმასრულებელ პროცესებში და შესაბამისად გახდნენ შეკავებისა და ბალანსის სისტემის ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებში. საზოგადოებრივი გაერთიანებების როლი მუდმივად იზრდება აშშ-ს პოლიტიკურ სისტემაში, იღებს რა ახალ ფორმებსა და მასშტაბებს.

პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით, რომელთა მიზანიც ძალაუფლების მოპოვებაა, ინტერესთა ჯგუფებს გავლენა აქვთ მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღებ კანონმდებლებზე. ინტერესთა ჯგუფების მიერ სოციალური საჭიროებების უფრო ფართოდ წარმოდგენა აძლიერებს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის არსებულ მრავალწახნაგოვან ურთიერთობას. ამის საპირისპიროდ, ინტერესთა ჯგუფების მოქმედების სფეროს შევიწროება, ასოციაციების შექმნისას მოქალაქეთათვის დაბრკოლებების შექმნა და მმართველი ელიტის მოსახლეობისგან იზოლირება, ქმნის ქვეყანაში დიქტატურის დამყარების წინაპირობას.

ინტერესთა ჯგუფები ფლობენ მნიშვნელოვან ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს , აქვთ აგრეთვე კარგად მართული ორგანიზაციული სტრუქტურა რაც მათ საშუალებას აძლევს ზეგავლენა მოახდინონ მთავრობის გადაწვეტილებებზე და ამით უპასუხონ საზოგადოების მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ის ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც ინარჩუნებენ მუდმივ კომუნიკაციას მთავრობასთან, ხშირად ხდებიან სოციალური მართვის მექანიზმის განუყოფელი ნაწილი და უაღრესად დადებით როლს თამაშობენ მართვის დემოკრატიული პრინციპების განხორციელებაში. ამის საპირისპიროდ, ისეთ

მარგინალურ, არატრადიციულ ინტერესთა ჯგუფების არსებობას და ქმედებას, რომლებიც საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებსა და ღირებულებებს უგუვებელყოფენ და სურთ ზეგავლენა მოახდინონ მთავრობაზე, შეიძლება დამანგრეველი ეფექტი ჰქონდეს საზოგადოების პოლიტიკურ მართვაზე, ამიტომ სისტემა ცდილობს მათ დაბლოკვას და უარყოფას.

უკანასკნელ წლებში, ამერიკაში მეტი ყურადღება ეთმობა იმას, თუ რამდენად უწყობს ხელს ინტერესთა ჯგუფის ფართო ქსელი და მასში მოქალაქეების ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების მდგად განვითარებას. საზოგადოებრივ და ინსტიტუციურ ჯგუფებში აქტიური მონაწილეობა ხელს უწყობს მოქალაქეებში პოლიტიკური უნარ–ჩვევებისა და თანამშრომლობის ფორმების განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია კარგად ფუნქციონირებადი საზოგადოებისთვის. მოქალაქეები სწავლობენ თვით–ორგანიზების მეთოდებს, ინტერესების გამოხატვას საერთო მიზნებისთვის და სხვა მათ მოკავშირეებთან თანამშრომლობას რათა მიღწეულ იქნას საერთო მიზანი. ისინი ასევე აცნობიერებენ, რომ პოლიტიკური პროცესი არანაკლებ მნიშვნელოვანია ვიდრე მყისიერი შედეგი. ამდენად, აქტიურ ასოციაციური ჯგუფების სისტემას შეუძლია შეასუსტოს უწესრიგო ან არაორგანიზებული საზოგადოებრივი გაერთიანებების განვითარება.

ჯგუფის საქმიანობაში ჩართულობის გზით, იმ მოქალაქეებს, რომელთაც არ აქვთ გამორჩეული პიროვნული და მატერიალური რესურსები, გზა ეხსნებათ პოლიტიკისკენ. ჯგუფური საქმიანობა მოქალაქეებს ეხმარება განვითარდნენ, აღმოაჩინონ და გამოიყენონ საკუთარი უპირატესობები. გარდა ამისა, ისინი იღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას პოლიტიკურ მოვლენებზე და ახდენენ საკუთარი ინტერესების უფრო ზუსტ და ადეკვატურ გამოხატვას, ვიდრე ეს ხდება პოლიტიკური პარტიების მიერ ან არჩევნების გზით. სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, საზოგადოების აქტიური ჩართულობა ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფში ამზადებს ნოყიერ ნიადაგს დემოკრატიური პოლიტიკის განვითარებისათვის.

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური უერთიერთ დამოკიდებულება იზრდება, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებზე მსოფლიო მასშტაბით, რომელიც, თავის მხრივ, ასახავს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ახალ პროცესებს. მსგავსი პრობლემებისა და ინტერესების მქონე ჯგუფები და ინდივიდები სხვადასხვა ქვენებიდან უკავშირდებიან ერთმანეთს გამოცდილების გაზიარების მიზნით რაც კიდევ უფრო ეფექტურს ხდის მათ საზოგადოებრივი პრობლემებისათვის ბრძოლას. ისინი ერთმანეთს ხვდებიან საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებზე პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით და უზიარებენ გამოცდილებას. ამგვარად, ერთი ქვენის საზოგადოებრივი ურთიერთობები სცილდება ეროვნულ საზღვრებს, რაც იმის დასტურია, რომ ქვეყნის საშინაო პოლიტიკა სულ უფრო მეტად იძენს საერთაშორისო კონტექსტს.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელსაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და სხვა ერები წააწყდნენ დემოკრატიზაციის გზაზე არის ის, რომ მათ სჭირდებათ შექმნან მდიდარი და მრავალფეროვანი ასოციაციური ჯგუფების სისტემა იმ საზოგადოებაში, სადაც დიდი ხნის მანძილზე ორგანიზებული ჯგუფები დათრგუნული და კონტროლირებადი იყო. ამ ქვეყნებში, 40 წელზე მეტი დომინირებდა კომუნისტური პარტია და სახელმწიფო ბიუროკრატია, მთავრობა არეგულირებდა საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის ფორმებს, მიმართავდა რა მათ თავისსავე მიზნების სასარგებლოდ.

ახალი, დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის პროცესი, რომელთა ძირითადი მიზანი მოქალაქეთა განსხვავებული ინტერესებების გამოხატვაა, ახლაც და მომავალშიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს დემოკრატიულ გარდაქმნებში. მაგალითად, დღეს, ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ ერებს მწვავედ უდგას სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საჭიროება. იმისთვის რომ მოქალაქეები ჩაერთონ პოლიტიკურ პროცესებში, მათ უნდა შეიქმნას ასოციაციები და

საზოგადოებრივი კავშირები რაც უზრუნველყოფს მათი ინტერესების გამოხატვას; მხოლოდ ამ გზით შეძლებს ქვეყანა მიაღწიოს წარმატებას დემოკრატიზაციის გზაზე.

ერთ–ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და პოპულარული საზოგადოებრივი გაერთიანებები ამერიკაში ის ჯგუფებია, რომლებიც ერთიანდებიან განათლების პრობლემბის ირგვლივ. მათი ზეგავლენა მთავრობის განათლების პოლიტიკაზე მუდმივად იზრდება და ეს ბუნებრივიც არის, რადგან ამერიკული საზოგადოება ისტორიულად აქტიურად იყო ჩართული განათლების პოლიტიკაში და აკონტროლებდა მის ხარისხს.
თანამედროვე საზოგადოებაში, საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფები სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, უფრო რთულ პრობლემებს აწყდებიან. ამის მიზეზია ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში განათლების სისტემის პოლიტიკა უმეტესწილად ყალიბდება შტატის ან ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოების მიერ. ამდენად, ფედერალური და ეროვნული მთავრობა გარკვეულწილად სეზღუდულია განათლების სტრატეგიის ჩამოყალიბებაში. აქედან გამომდინარე, ამერიკის საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფების ლობირების რეალური ინსტრუმენტები კონგრესსა და თეთრ სახლში შესაძლოა შეზღუდული იყოს, რაც მათ განასხვავებს სხვა ტიპის აქტიური პოლიტიკური ორგანიზაციებისგან. საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფები დიდწილად დამოკიდებულნი არიან მათი წევრების რაოდენობაზე (რაც ამ ტიპის ინტერესთა ჯგუფების ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენს), ამდენად, მათი ლობირების ძირითადი ინსტრუმენტი უმთავრესად ფართო საზოადოების მხარდაჭერაა.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია შეისწავლოს თუ რა გავლენას ახდენენ ეროვნული საგანმანათლებლო ჯგუფები განათლების სისტემის განვითარებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში. წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ეროვნული საგანმანათლებლო ჯგუფების, როგორც ცალკეული პოლიტიკურად აქტიური ჯგუფების მნიშვნელობას; კვლევა შეეცდება დაადგინოს მათი აშშ–ს მთავრობასთან ურთიერთობა და თუ როგორ ცდილობს ეს ჯგუფები ზეგავლენის მოხდენას

კონგრესის წევრებზე; აგრეთვე თუ როგორ ახდენს განსხვავებული სოციალური ჯგუფები თავის განათლების ინტერესების ლობირებას. აგრეთვე სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია საგანმანათლებლო ჯგუფების ეფექტურობა განათლების ეროვნული სტრატეგიის განვითარებაში და მათი როლი განათლების სფეროში ინოვაციების დანერგვაში.

სიახლე

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი სამეცნიერო კვლევა, რომელიც სწავლობს ლობირების პრობლემას ამერიკაში, არ შეისწავლის ეროვნულ განათლებაზე ფოკუსირებულ ინტერესთა ჯგუფებს და მათი მთავრობის ლობირების საკითხებს.

წინამდებარე ნაშრომში პირველად იქნა შესწავლილი ახალი სოციალური მედიის გამოყენების მეთოდები საზოგადოებრივი ჯგუფების შექმნის, მათი ქსელის გაფართოვებისა და ზეგავლენის გაძლიერების მიზნით, აგრეთვე ის უახლესი სტრატეგია და ტაქტიკა რომელიც დღესდღეობით უკვე მასიურად გამოიყენება ინტერესესთა ჯგუფების და კერძოდ განათლების ასოციაციების მიერ.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო პროცესებში და აქვს შესაძლებლობა გაიზიაროს სხვა ქვეყნების გამოცდილება განათლების სფეროში, საჭირო გახდა კვლევის ჩატარება, რომელიც შეისწავლიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ინტერესთა ჯგუფების მიერ წამოწეულ ძირითად საკითხებსა და კონცეფციებს, სტრატეგიებს და ტაქტიკას, მათი ლობირების ინსტრუმენტებს, რათა მათი გამოცდილება შემდგომში დაინერგოს და მოერგოს ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

1) რა როლს თამაშობს ინტერესთა ჯგუფები ამერიკის პოლიტიკურ სისტემაში?
2) რა მიზნები ამოძრავებთ და რა ფუნქციას ასრულებს აშშ-ში განათლების ინტრესთა ჯგუფები?
3) როგორი ტიპის, სტრუქტურისა და ორგანიზაციის ინტერესთა ჯგუფები არსებობს?

4) რომელი პოლიტიკური და სოციალური ინსტრუმენტები გამოიყენება ეროვნული საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფების მხრიდან მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე გავლენის მოსახდენად?
5) როგორ ახდენენ ინტერესთა ჯგუფები აშშ-ში გავლენას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე ვებ-სოციალური ქსელით?
6) როგორ შეცვალა საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის მეთოდები ინტერესთა ჯგუფების მიერ გამოყენებულმა თანამედროვე მედია ტექნოლოგიებმა?
7) როგორ უპასუხა აშშ-ს მთავრობამ საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფების მიერი წამოჭრილ პრობლემებს?
8) რა ფუნქციური დარღვევები აქვთ საქართველოში მოქმედ განათლების ინტერესთა ჯგუფებს სოციალურ მოთხოვნებთან მიმართებაში?
9) ასევე, როგორ უნდა დაინერგოს ამერიკული ინტერესეთა ჯგუფების ლობირების სტრატეგიები საქართველოში?

ზემოთდასმული კითხვებიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია აგრეთვე ხაზი გაუსვას საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფების შექმნის და ფუნქციონირების მნიშვნელობას საქართველოში, რომლებიც ამერიკული ჯგუფების ანალოგიური იქნება.

კვლევის პრობლემა:კვლევის მთავარი პრობლემა აშშ-ს პოლიტიკურ გარემოში საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფების მნიშვნელობისა და ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემაზე მათი გავლენის შესწავლაა. ნაშრომში განხილულია საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფების წინაშე არსებული თანამედროვე მოთხოვნები და მათი ლობირების ინოვაციური სტრატეგიები ვებ-სოციალური ქსელის გამოყენებით აშშ-სა და საქართველოში.

კვლევის მიზანია შეისწავლოს საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფების მიერ გამოყენებული პოლიტიკა, მართვის სისტემები და თანამედროვე ინტერნეტ ტექნოლოგიები, რომელსაც ისინი საზოგადოების დასარწმუნებლად და მთავრობის

გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოსახდენად იყენებენ. ასევე, გამოავლინოს ინტერესთა ჯგუფების მიერ გამოყენებული ტაქტიკა და მათ მიერ წამოწეული პრობლემური საკითხები. კვლევის შედეგებმა შესაძლოა დადებითი გავლენა იქონიოს საქართველოში ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების განვითარებაზე.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება: კვლევის შედეგები უდაოდ საინტერესო იქნება ქართული საზოგადოებისათვის, მეცნიერებისა და სტუდენტებისათვის, პოლიტიკური ლიდერებისა და სახელმწიფო მოხელეებისათვის. ამასთანავე, ამერიკული საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფების ფენომენი შესაძლოა მოვიაზროთ როგორც ერთი-ერთი ეფექტური სტრატეგია ქართული საზოგადოებისთვის რომლის მიზანია გავლენა მოახდინოს საქართველოში განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებზე და გაუწიოს მას მონიტორინგი.
კვლევის შედეგები შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნას საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროფესიული ასოციაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, როგორც მეთოდოლოგიური კონცეფციების სახელმძღვანელო, ასევე, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტი საქართველოში ინტერესთა ჯგუფების ახალი, ინოვაციური პროექტებისათვის. კვლევა ვფიქრობთ საინტერესო იქნება პოლიტიკოსების, განათლების სპეციალისტების, სკოლის დირექტორებისა და საგანმანათლებლო ინსტიტუციების ხელმძღვანელებისთვის, რომლებიც შეიძენენ ცოდნას ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირებაში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობაზე.

კვლევის თეორიული ღირებულება: კვლევაში გააანალიზებული და კრიტიკულად შეაფასებულია ინტერესთა ჯგუფების როლი ა. ბენტლის, ს. პარეტოს, გრეგორი, ს. ბატლერისა და ჯეიმს დი. სლექის ნაშრომებში. მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში, საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფებთან დაკავშირებით წარმოდგენილ და განვითარებული თეორიულ დისკურსში ჩვენს მიერ პირველადაა განხილული ახალი თეორია თუ როგორ აღწევენ ინტერესთა ჯგუფები

საკუთარ მიზნებს ვებ-სოციალური ქსელის ტექნოლოგიების დახმარებით. არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ამერიკაშიც, ეს არის პირველი მცდელობა პრობლემა შესწავლილ იქნეს ამ კუთხით და განისაზღვროს ინტერესთა ჯგუფების ახალი სტრატეგიები, რომელთაც იყენებენ საზოგადოების დასარწმუნებლად და მთავრობაზე გავლენის მოსახდენად.

კვლევა ვითარდება ორი მთავარი ჰიპოთეზის გარშემო:

ჰიპოთეზა 1:

მიზნები და ამოცანები საზოგადოებისა, რომლის აქტიური მონაწილეობა განათლების პოლიტიკაში არის უაღრესად მნიშვნელოვანი, **შესაძლოა იყოს წარმატებული** იმ შემთხვევაში, თუ ეს საზოგადოება არის კონსოლიდირებული, ქმნის ინტერესთა ჯგუფს, რომელსაც აქვს სათანადო სტრუქტურა, სტრატეგია და ტაქტიკა, მოწოდებულია რომ შეასრულოს დასახული ამოცანა და უპასუხოს უფრო ფართო სოციალური ჯგუფების, საერთო ჯამში-კი საზოგადოების მოთხოვნებს.

ჰიპოთეაზა 2:

იმ შემთხვევაში თუ ინტერესთა ჯგუფების მიერ ვებ-სოციალური ქსელების შესაძლებლობები მიზანმიმართულად იქნა გამოყენებული, იგი შესაძლოა აღმოჩნდეს საკმაოდ ეფექტური და შეძლოს საზოგადოების ფართო წრეების დარწმუნება ან მათი ინტერესის ამსახველი მცდარი სურათის შექმნა. ამდენად, ნაშრომში შესწავლილი ინტერესთა მომხრეების შექმნის ახალი ტექნოლოგია წარმოადგენს გარკვეულ საშიშროებას საზოგადოების მანიპულირებისა და მთავრობისა და ხალხის ყურადღების მცდარ პრობლემებზე გადატანის კუთხით.

კვლევის შეზღუდვები:

კვლევა ძირითადად ფოკუსირებულია შეერთებულ შტატებში ინტერესთა ჯგუფების მიერ გამოყენებულ პრაქტიკული მეთოდოლოგიის კვლევასა და მათ მაგალითებზე. ჩატარებული კვლევის მთავარი მიზანია შემუშავდეს ინტერესთა ჯგუფების ქცევის

სახელმძღვანელო, რომელიც მათ დაეხმარებათ საზოგადოებრივი აზრის გავრცელებასა და დანერგვაში. დისერტაციაში არ არის განხილული არსებული პოლიტიკური გარემოს თეორიული საფუძვლები, იგი იხილავს პოლიტიკური გარემოს ამჟამინდელ ტენდენციებს და ეძებს დასმული პრობლემის მოგვარების გზებს.

როგორც წესი, ინტერესთა ჯგუფებს არ სურთ ლობირების შესახებ ინფორმაციის განდობა გარეშე პირებისთვის. ეს ზღუდავს ინტერესთა ჯგუფების შიგნიდან შესწავლის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, კვლევაში გამოყენებულია მონაცემები, რომლებიც ეფუძნება ინტერესთა ჯგუფების მკვლევარებისა და პროფესიონალი აქტიური წევრების განცხადებებს. გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია თუ როგორ მოვახდინოთ გავლენა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, კვლევა ჩატარდა საზოგადოების და ინტერესთა ჯგუფების წევრების თვალთახედვიდან, რათა შენარჩუნებულიყო ობიექტურობა. გაანალიზებული მონაცემები აღებულია იმ ღია წყაროებიდან,რომელზეც ხელი მიუწვდება საზოგადოების ნებისმიერ წევრს.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში, საბოლოო მიზნის მისაღწევად გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კლვევის მეთოდები. ხარისხობრივი კვლევა იძლევა პრობლემის სიღრმისეულად შესწავლისა და კონკრეტული საკითხების სხვადასხვა კუთხით შეფასების საშუალებას. რაოდენობრივი მონაცემები საჭიროა ნიჭიერი მოსწავლეების განათლებაში გამოყენებული სხვადასხვა წარმატებული და წარუმატებელი პრაქტიკის სტატისტიკის ჩამოსაყალიბებლად და შესასწავლად. შერეული კვლევის მეთოდების გამოყენება არის სავალდებულო როდესაც საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ და და ამავე დროს ზუსტ შესწავლასა და ანალიზს.

კვლევის შერჩევა.

კვლევა მოიცავს აშშ-ში რამდენიმე საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფის შედარებას; შესწავლილ იქნა ინტერესთა ჯგუფების განვითარება, ლობირების სტრატეგიები და სტრუქტურები, და განისაზღვრა რომელი გზა არის უფრო წარმატებული და რატომ. რესპოდენტებისათვის კითხვარის შედგენის მიზნით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფების 100 წევრი, რამაც საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა ზოგადი მოსაზრება ინტერესთა ჯგუფის სტრუქტურასა და ლობირების მეთოდოლოგიაზე, ასევე საჯარო მხარდაჭერის მნიშვნელობაზე აშშ-ში. მოგვიანებით. დასკვის სახით, განხილულ ლიტერატურასა და მაგალითებზე დაყრდნობით, განისაზღვრა და შემოთავაზებულ იქნა საქართველოში ინტერესთა ჯგუფების ოპტიმიზაციის პრობლემის გადაჭრის გზები.

კვლევაში მონაწილე ყველა პირის უფლებები დაცულია. ისინი წინასწარ არიან ინფორმარებულები კვლევის ანონიმურობასთან დაკავშირებით. სახელები არ იქნება მინიშნებული, რაც მათ საშუალებას მისცემთ საკუთარი მოსაზრება უფრო ღიად, დეტალურად გამოთქვან და გამოხატონ კრიტიკული დამოკიდებულება დასმულ პრობლემებთან მიმართებაში.
კვლევისას შესწავლილი იქნება ფართო ლიტერატურა, რომელთაგან უმეტესობა ეძღვნება პოლიტიკისა და სოციოლოგიის სფეროში ჩატარებული არაერთი კვლევის შედეგების აღწერას.

ნაშრომის სტრუქტურა

დისერტაცია მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

შესავალი: შესავალში მოცემულია საკვლევი პრობლემა, მისი მიზნები, ამოცანები და კვლევის მთავარი ღირებულებები, აგრეთვე კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები და მისი როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ასპექტები;

თავი პირველი - ლიტერატურის მიმოხილვა, პრობლემის ისტორია: ინტერესთა ჯგუფების როლი აშშ-ს პოლიტიკურ გარემოში. ლობირების ძირითადი მეთოდები და სტრატეგიები.

თავი მეორე - თანამედროვე ვებ-მეთოდები და სტრატეგიები საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად და მასზე ზეგავლენის მოსახდენად.

თავი მესამე - ამერიკული და ქართული ინტერესთა ჯგუფების მაგალითების შესწავლა; (case study), კვლევის სხვადახვა მეთოდებით (გამოკითხვა, ინტერვიუ) მოპოვებული პირველადი მონაცემების ანალიზი და შედარებულია ამერიკასა და საქართველოში მოქმედი განათლების ინტერესთა ჯგუფები ამჟამინდელ ქართულ პოლიტიკურ გარემოს ფონზე. მოცემულია მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკისა და სტრატეგიის ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

დასკვნა - ნაშრომის ბოლოს მოცემულია კვლევის შეჯამება დასკვნის სახით.

გამოყენებული ლიტერატურის სია

თავი 1. ინტერესთა ჯგუფებს შორის ლობირების მეთოდები და დინამიკა, ლიტერატურის მიმოხილვა.

ამ თავში ჩამოყალიბებულია ინტერესთა ჯგუფის ცნება. ინტერესთა ჯგუფები პოლიტიკური პარტიების შემდეგ ყველაზე მასიური ორგანიზაციული სუბიექტია. ამ კონცეფციის ქვეშ მოიაზრება ძალზე განსხვავებული ტიპის ორგანიზაციები, რომელთა წევრებიც სისტემის პოლიტიკური ძალაუფლებისადმი სწრაფვის გარეშე, მათსავე განსაკუთრებული ინტერესების უზრუნველსაყოფად ცდილობენ გავლენა მოახდინონ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებებზე. ამაში მდგომარეობს ფუნდამენტური განსხვავება მათსა და პოლიტიკური პარტიებს შორის.

ასეთი ინტერესთა ჯგუფებია: პროფკავშირები და სავაჭრო გაერთიანებებს; ფერმერების ორგანიზაციებს, მეწარმეთა პროფესიულ ასოციაციებს; ფემინისტურ, გარემოსდაცვით, ადამიანის უფლებების დაცვის, პაციფისტურ და ა.შ. მოძრაობებს; ვეტერანთა გაერთიანებებს; ფილოსოფიურ კლუბებსა და საზოგადოებებს და სხვა.

ინრესთა ჯგუფებს აქვთ შექმნილი ე.წ. „ზეწოლის ჯგუფები“ რომლის ფუნქციაც მიიღოს აქტიური მონაწილეობა სოციალურ, პოლიტიკურ და სამოქალაქო მოძრაობაში, მიიპყროს მედიის ყურადღება რათა შექმნას საჭირო პოლიტიკური გარემო საზოგადოებაში და, რაც მთავარია, მოახდინოს ზეწოლა მთავრობის გადაწყვეტილებებზე იმისათვის რომ ინტერესთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრა მოხდეს.

ე.წ. პრიორიტეტული ზეწოლის ჯგუფები ითავსებენ ორ ძირითად ფუნქციას:

პირველი, ეს არის მისი წევრების ძირითადი ინტერესების შერჩევა, განზოგადება, ფორმულირება და სათანადოდ გამოხატვა;

მეორე, მიზანმიმართული გავლენის მოხდენა ძალაუფლების ინსტიტუტებზე იმისათვის რომ ჯგუფმა მიაღწიოს დასახულ მიზანს.

მიუხედავად იმისა, რომ ძალაუფლების ყველა შტო არის ამ ზეგავლენის სამიზნე ობიექტი, ზეწოლის ჯგუფები ყველაზე აქტიურად ახდენენ ზეწოლას საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებზე, აგრეთვე პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც აკონტროლებენ ძალაუფლებას. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა

ენიჭება საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდაციას და მის მიზანდასახულად წარმართვას.

ხელისუფლებაზე და მის და მასში შემავალ ინსტიტუტებზე ზეწოლის ჯგუფების ქმედებას რამოდენიმე მიმართულება აქვს: ა) ზეგავლენა მთავრობაზე; ბ) ზეგავლენა ძალაუფლების მაკონტროლირებელ პარტიებზე; გ) ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე, რომელსაც, თავის მხრივ, აქვს გავლენა ხელისუფლებაზე;

„ზეწოლის ჯგუფები' მნიშვნელოვან როლს თამაშობენ და საზოგადოების ინტერესები მიაქვთ მთავრობამდე ლეგალური გზებით და ორგანიზებული სახით. ამის გარეშე საზოგადოების უკმაყოფილებისა და მათი იმედგაცრუების გამოხატვა ხშირად არაორგანიზებულ და ძალადობრივ სახეს იღებს.

"ლობიზმის" ან "ლობის" ცნებები მჭიდროდ არის დაკავშირებული ზეწოლის ჯგუფების ცნებასთან. ფართო გაგებით, ისინი ხშირად სინონიმური მნიშვნელობითაც გამოიყენება. ლობი, როგორც აქტივობების განსაკუთრებული ტიპი, არის ხშირ შემთხვევაში ანაზღაურებადი ქმედების შედეგი, როდესაც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო გადაწყვეტილების პროცესზე ახდენს ზეგავლენს სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახმარებლად.

ლეგალური ლობირების საქმიანობის ფორმებია:

ა) სიტყვით გამოსვლა მოსმენებზე პარლამენტის კომიტეტებსა და კომისიებზე;

ბ) სამეცნიერო კვლევისა და ექსპერტიზის შედეგად საკანონმდებლო პროექტის ან ნორმატიული აქტის წარდგენა;

გ) პრესაში და სხვა მედია-საშუალებებში წარმოებული პროპაგანდა;

დ) დემონსტრაციების, მსვლელობების და პიკეტირების ორგანიზება;

არალეგალური (კრიმინალურად დასჯადი) ქმედებების რიცხვს მიეკუთვნება:

ა) ერთჯერადად ან ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე კანონმდებლის ან სხვა ოფიციალური პირის მოქრთამვა (მოსყიდვა);

გ) შანტაჟი, არასწორი და დამახინჯებული ინფორმაციის შეგნებულად გავრცელება და სხვა.

დემოკრატიულ ქვეყნებში, ლობირება რეგულირდება კანონმდებლობით, რომელიც მას აძლევს ლეგალური მოქმედების ხასიათს, რომელიც, თავის მხრივ, გამომდინარეობს მოქალაქის კონსტიტუციური უფლებიდან მიმართოს ხელისუფალს. პოლიტიკური ინტერესები არის საზოგადოების, სოციალური ჯგუფების, პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ გამოხატული სოციალური და პოლიტიკური საჭიროებები და მოთხოვნები. პოლიტიკური ინტერესები არის ერთგვარი მიზეზი და მოტივაცია ისეთი კონკრეტული ქმედებისთვის როგორებიცაა: მონაწილეობა არჩევნებში, მიტინგის ორგანიზება და წარმართვა, და პოლიტიკურ ორგანიზაციებში ჩართვა.

პოლიტიკური ურთიერთობები არ წარმოიშობა თავისთავად, არამედ ყალიბდება კონკრეტული ინტერესების გარშემო. მაგალითად, საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარი მიზნები ყალიბდება ეროვნული, რეგიონული და შტატის ინტერესებიდან გამომდინარე. თავის მხრივ, ეროვნული ინტერესი გაგებულია, როგორც სახელმწიფო და საჯარო ინტერესების ურთიერთშეპირისპირებულობა, რადგან საზოგადოებისა და სახელმწიფოს შიდა პოლიტიკა განსხვავებული პოლიტიკური ძალების ინტერესების ურთიერთქმედების შედეგია.

ასეთი პოლიტიკური ინტერესები შესაძლოა იყოს პესონალური (ინდივიდუალური), ჯგუფური და საზოგადო. საკუთარი ინტერესის დასაცავად ადამიანები უნდა გაერთიანდნენ “ინტერესთა ჯგუფებად”, პოლიტიკურ პარტიებად, სოციალურ მოძრაობებად და აშ. ცალკეულ ლიდერს არ აქვს წარმატების შანსი, თუ მას მხარს არ უჭერენ ის კონკრეტული სოციალური და პოლიტიკური ძალები, რომელთა ინტერესებსაც იგი გამოხატავს.

პოლიტიკური ინტერესი აერთიანებს იმ ადამიანებს,რომლებიც იზიარებენ საერთო ღირებულებებს, ორიენტაციას, საჭიროებებს, შეხედულებებს, მიზნებს, და უპირისპირდება შეუთავსებელი ინტერესების მქონე ადამიანთა ჯგუფებს.

განსხვავებული პოლიტიკური ინტერესები შეიძლება ჰქონდეთ სახელმწიფო ინსტიტუციებს, პოლიტიკურ პარტიებს, სოციო-პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და

მოძრაობებს, ინტერესთა ჯგუფებს და ა.შ. ინტერესთა ჯგუფებში, პირველ რიგში მოიაზრებიან ის ორგანიზაციები და ასოციაციები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი კორპორატიული ინტერესების განხორციელებას სახელმწიფო ინსტიტუციების საშუალებით, ან, არაპირდაპირი გზით – პარტიების, საპარლამენტო ფრაქციებისა ან მედიის საშუალებით.

ამერიკის შეერთებული შტატები ცნობილია განვითარებული საგანმანათლებლო სისტემითა და საზოგადოების მაღალი ინტერესით საგანმანათლებლო საკითხების მინმართ. განათლების პოლიტიკა და პრობლემები აშშ-ში საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფების ფოკუსში მოექცა. ინტერესთა ჯგუფები თამაშობენ ერთგვარი შუამავლის როლს საგანმანათლებლო სისტემასა და მთავრობას შორის. საგანმანათლებლო სისტემა ჩართული უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკურ გარემოში, მიუხედავად იმისა რომ აშშ-ში განათლება ცენტრალიზებულად არ იმართება ფედერალურ მთავრობის მიერ.

კვლევაში აქცენტი კეთდება შემდეგზე: იცვლება თუ არა ზემოაღნიშნული ინტერესთა ჯგუფების სტრატეგიები თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად და რომელია ყველაზე ეფექტური ლობირების მეთოდი, რომელიც შეგვიძლია გამოვყოთ დღევანდელ სინამდვილეში. თანამედროვე ტექნოლოგიებმა და ინტერნეტ სამყარომ შექმნა ვირტუალური სისტემები სხვადასხვა სფეროში და საზოგადოებაში მკვიდრდება როგორც ინფორმაციისა და იდეების გავრცელების და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საშუალება.

შემდეგ თავებში განხილულია თუ რა ცვლილებები მოიტანა თანამედროვე ტექნოლოგიებმა პოლიტიკაში და საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის სოციო-პოლიტიკურ სფეროში.

თავი 2. ამერიკის შეერთებულ შტატებში ინტერესთა ჯგუფების მიერი საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლების მოსახდენად გამოყენებული თამედროვე ვებ-ტექნოლოგიები.

კომუნიკაციას საზოგადოებრივ აზრზე ზეგალენის მოხდენის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. საზოგადოებასთან დიალოგი არის ძალიან მნიშვნელოვანი ნებისმიერი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციისთვის. როგორც ცნობილია, სწორედ ორგანიზაციის წევრები და მხარდამჭერები არიან ორგანიზაციის ძალა და პირდაპირ მიუთითებს მისი ძალაუფლების ზრდაზე.

ორგანიზაციის ძირითადი აქტივი არის ადამიანური რესურსი და ახალი მედია მოქმედებს როგორც "მასობრივი მოზიდვის იარაღი". მედიის განვითარებასთან ერთად ინტერესთა ჯგუფებს ეზრდებათ შესაძლებლობა მთავარი მიზნის გარშემო მოახდინონ უფრო მეტი მხარდამჭერის მობილიზება. სწორედ ამიტომ, პოლიტიკაში მოქალაქის ჩართულობის მნიშვნელობის გასარკვევად საწიროა განვიხილოთ თუ რა ცვლილებები მოიტანა თანამედროვე ტექნოლოგიებმა პოლიტიკისა და საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის სფეროში.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება არის მსოფლიო განვითარების შეუქცევადი ტენდენცია, ამავდროულად ეს არის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ რევოლუცია. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის გლობალურ ინტერნეტს, რომელიც, როგორც სპეციფიკური ინტერაქციული მედიაკომუნიკაციის მეთოდი, უკვე ფართოდ გამოიყენება პოლიტიკურ პროცესებში. ეს არის გამოწვევა კომუნიკაციის ისეთი ტრადიციულ საშუალებებისა და პოლიტიკური მექანიზმისთვის, რომელიც თავდაპირველად მოიცავდა მასმედიას, ტრადიციული ლობირების ფორმებს, საფოსტო გზავნილებს და საჯარო კონფერენციებს. სეილა ლაივერმორის თანახმად, ინტერნეტი უკვე ცვლის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებებზე ზეგავლენის მეთოდებს(Ceila Livermore, 2012). ეს ტექნიკური გამოგონება გახდა აბსოლუტური ფენომენი, რომელიც ადამიანთა ცხოვრების ყველა ასპექტზე ახდენს გავლენას.

ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარებამ საზოგადოებას გაუხსნა მრავალი პერპსექტივა და სხვადასხვა სფეროში მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევის საშუალებას აძლევს მათ. ინტერესთა ჯგუფებმა თავიდანვე დაიწყეს ახალი მედია საშუალების და ინტერნეტის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის მაგრამ დასაქყისში იგი მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებისათვის იყენებდნენ, ანუ აუცილებელი პოლიტიკური ინფორმაცია შეყავდათ ქსელში. ზოგადად, ინტერნეტმა გახსნა ახალი შესაძლებლობები საზოგადოებრივი ორგანიზაციების, გაზეთებისა და ჟურნალების, აგრეთვე ანალიტიკური და კვლევითი ორგანიზაციების, წმინდა ელექტრონულ პუბლიკაციებისა ვებ-გვერდების ფართოდ გამოყენების.

დღეს, პოლიტიკაში ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი არის გავლენის გავრცელება საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით. თუ განვიხილავთ რა როლს თამაშობს ტექნოლოგიები საზოგადოებრივი აზრის საშუალებით გადაწყვეტილების მიმღებებ პირებზე, შეგვიძლია განვასხვავოთ მისი ფორმირების შემდეგი პირობითი საფეხურები:

- გავლენისთვის ინფორმაციული ბაზის მომზადება;
- მასტიმულირებელი სიტუაციების შექმნა;
- პოლიტიკურ სამუშაო პროცესებში ჯგუფების ჩართვა;
- კონტროლირებადი შედეგების დანერგვა;

ქსელურ სივრცეში წარმოებული სოციალური მოძრაობების პოლიტიკური ბრძოლა, გარდაქმნის ინტერნეტს ახალ, ორგანიზებულ, ჰორიზონტალური მმართველობის სივრცედ. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციების, რომელიც ინდუსტრიულ ეპოქაში შეიქმნა, შემდგომი განვითარების პერსპექტივა უკავშირდება მჭიდრო კავშირის დამყარებას სოციალურ წრეებთან ახალი ინტერნეტ ქსელების საშუალებით და მათთან უწყვეტ დიალოგს.

კომპანიებსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ახალი მედიის მზარდი ძალაუფლებისა და ზეგავლენის უარყოფა. ინტერნეტის შემთხვევაში ორგანიზაცია უნდა მოერგოს ჩამოყალიბებულ სტრუქტურას და ჩაერთოს ვებ-საზოგადოებაში, სხვაგვარად ისინი შესაძლოა ჩამორჩნენ სოციალურ პროგრესს. დღეს, კომპანიებისა და ორგანიზაციებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვლეოვანია ვებ-გვერდის ქონა, სოციალურ

მედიაში მომხარებელთა კრიტიკაზე პასუხის გაცემა და ონლაინ პროექტებში მონაწილეობის მიღება.

ახალი ვირტუალური რეალობის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლებია მისი გლობალური ბუნება და ინტერაქციულობა (wang, 2012). ინტერნეტი არ აღიარებს სახელმწიფო კონვენციების სუვერენიტეტს, პოლიტიკური მონაწილეობის ფორმებს, იერარქიულ სტრუქტურებს, პოლიტიკურ პარტიებს და სხვა ინსტიტუციურ პოლიტიკურ სუბიექტებს. ქსელის გამოყენების პოლიტიკური შედეგი წინააღმდეგობრივი და არაერთგვაროვანია. ერთის მხრივ, ინტერნეტი ხსნის გეოგრაფიულ და სტრუქტურულ შეზღუდვებს და გზას უხსნის ადამიანების პირდაპირ ჩართულობას კოლექტიურ, პოლიტიკურ საქმიანობაში, რათა აღმოფხვრას მანძილი მოქალაქეთა და გადაწყვეტილების-მიმღებთა შორის და განავრცოს სამოქალაქო კულტურის ჰორიზონტები. მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, მათი ფართო, ყოველდღიური გამოყენების გამო, საზოგადოებას უქვემდებარებს პოლიტიკურ კონტროლს, ხელს უწყობს პოლიტიკური დომინანტისათვის საჭირო ინსტრუმენტების გაძლიერებას, და ქმნის პირობებს ავტორიტარული სოციალიზაციისა და პიროვნებაზე მანიპულაციური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას.

ეს პროცესები მრავალსახოვანია და მისი დარეგულირება გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული, რომელიც მოიცავს ტექნიკურ, პოლიტიკურ, მორალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ასპექტებს. ზოგჯერ ინტერესთა ჯგუფების მიერ შემუშავებული ინტერნეტ-ტექნოლოგიები გულისხმობს ვებ-გვერდზე ე.წ. "შავ" საქმიანობას.

ზოგადად, ინტერნეტის “შავი” ტექნოლოგიები ისე მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან, რომ უმეტეს შემთხვევებში ისინი უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანი ფენომენი. ეს ტექნოლოგიები შეიძლება დავყოთ ორგვარად: ისეთებად, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მხოლოდ ვებზე და ისეთებად, რომელიც გადმოტანილია ოფლაინიდან. მათი გამოყენება უპირისპირდება კანონს და კონფლიქტში მოდის მასთან, ასე რომ ვებ-სივრცის შეზღუდვები დამოკიდებულია

ინდივიდუალურ მომხმარებელთა მორალზე. ეს შეიძლება განვიხილოთ როგორც პრობლემა, რადგან დღემდე ბოლომდე ნათლად არ არის განსაზღვრული ქსელის სამართლებრივი სტატუსი, როგორც შტატებში, ასევე საერთაშორისო დონეზე. ამიტომ, ამ ტექნოლოგიების გამოყენება, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ავტორი ცნობილია, დაუსჯელი რჩება. (Fischhoff, 2011). ინტერნეტში ყველაზე ფართოდ გამოყენებადი "შავი" ტექნოლოგიები არის შემდეგი: საზოგადოებრივი აზრის მანიპულაცია, საზოგადოებაში მღელვარების, შფოთვის დათესვა, დეზინფორმაცია, პოლიტიკური სუბიექტის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების შექმნა. ამ არაეთიკური ქმედების ძირითადი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ინტერესთა ჯგუფები ცდილობენ საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, აგრეთვე იგი გამოიყენება საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის მისაღებად, რათა გავლენა მოახდინონ მათ აზრზე და დაადგინონ სამიზნე ჯგუფი.

საზოგადოებრივი აზრის მანიპულაცია არის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული პოლიტიკური ტექნოლოგია ინტერნეტში, განსაკუთრებით კი რეიტინგებით მანიპულირება (Perea & James, 2012). ინტერნეტის შესაძლებლობა შეაგროვოს და თავი მოუყაროს სტატისტიკურ სიმულაციებს შეჭმარიტად შეუზღუდავია.

შავი ტექნოლოგიების სქემა შემდეგნაირია: ვებ-გვერდის ვიზიტორთა რაოდენობის აღმრიცხველი აქვს თითქმის ყველა ვებ-გვერდს, რომელიც აღრიცხავს ყოველი ადამიანის წვდომას მოცემულ რესურსებზე. ეს მონაცემები ხშირად გამოყენებულია როგორც საიტის პოპულარობის მტკიცებულება. მაგრამ ეს პარამეტრები საძიებო სისტემაში ვებ-გვერდების ოპტიმიზაციისთვის შეიძლება ტექნიკურად გაიმართოს იმგვარად, რომ მომხმარებელი, რომელსაც სურს წვდომა ქონდეს მსგავს რესურსებზე, შესაძლოა იხილოს ეს გვერდი მისთვის საჭირო ვებ-გვერდს ძიების დროს. მაშინაც კი, თუ მომხმარებელი ერთხელ შევა ვებ-გვერდზე და მომენტალურად დატოვებს მას, მრიცხველი მაინც დაარეგისტრირებს მას როგორც „ვიზიტორს". ბევრი კომპანიის ინტერესში შედის რომ ფიქტიური პოპულარიზაცია მოახდინოს თავისი ვებ–გვერდის. რამდენადაც საძიებო სისტემის ნაწილში მანიპულაციების შესაძლებლობა პრაქტიკულად შეუზღუდავია, მათი გამოყენება/არგამოყენება დამოკიდებულია

მხოლოდ კონკრეტული ადამიანების - საძიებო სისტემების მფლობელების მორალურ პრინციპებზე.

მეორე მეთოდია სტატისტიკით მანიპულაცია - ყველა სახის ონლაინ კვლევის, არჩევნების ჩატარებისა და განხორციელების შესაძლებლობა. აქ ვებ-გვერდის შემქმნელებს თავად შეუძლიათ პროცესების სიმულაცია. ეს მონაცემთა სანდოობას და რაც ყველაზე მთავარია, მათი გამოყენების შესაძლებლობას ეჭვქვეშ აყენებს. ვებ-გვერდის მფლობელები, კარგად იცნობენ საკუთარ აუდიტორიას, რომლებიც დასაწყისში, როგორც წესი მათი ერთგულები არიან. ამ მიზეზების გამო ინტერნეტ რესურსებით ჩატარებული კვლევის სანდოობა შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ (Perea & James, 2012).

მიუხედავად ამისა, ინტერნეტ გამოკითხვა ძალიან პერსპექტიული და სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა. თუ იგი სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით ტარდება, მოითხოვს სპეციალიზებულ ცოდნასა და ორგანიზატორულ უნარებს. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთი კვლევის შედეგები სარწმუნოა. ამავე დროს ინტერნეტი იძლევა არაჩვეულებრივ შესაძლებლობას მთავრობას მიმართოს ელექტრონული ონლაინ პეტიციებით. ელექტრონული ხელმოწერისა და პერსონალური ინფორმაციის შევსების ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა რამოდენიმე დღის მანძილზე პეტიციაზე უამრავი ხელმომწერის შეგროვება.

ერთ-ერთი პოლიტიკური ტექნოლოგია, რომელიც იყენებს როგორც ინტერნეტის ერთ-ერთ ძირითად თვისებას უარყოფითი მნიშვნელობით, არის **აქტიური ინტერესთა ჯგუფის სიმულაციის ტექნოლოგია.** პირველი შთაბეჭდილება, რომელიც სიმულაციური ვებ-გევერდის ვიზიტორს უჩნდება არის ის, რომ ვებ-გვერდი ჰგავს საკმაოდ მტკიცედ ნაგებ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს გარკვეული სტრუქტურა, იერარქიული წყობა და იჩენს ინტერესს სოციალური პრობლემების ფართო სპექტრისადმი. ყოველივე ეს ქმნის პროფესიონალურად კონსტრუირებული გვერდის შტაბეჭდილებას. ფერების ინტენსივობა და საიტის გრაფიკული გადაწყვეტა ქმნის ახალგაზრდა, თანამედროვე, დინამიური საზოგადოებრივი გაერთიანების იმიჯს. ამ შემთხვევაში ზოგიერთი აქტიური სუბიექტი დამკვიდრებულია სოციალური ან

პოლიტიკური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში; იქმნება ვებ-გვერდი რომელიც აღწერს სუბიექტის გაბედულ ქმედებებს, რაც იპყრობს ტრადიციული მედიის ყურადღებას.
ხშირ შემთხვევაში შეიძლება გამოგვრჩეს სუბიექტი. ვებ-გვერდის არსებობა მოაზროვნე გუნდის მუშაობის იმიტაციას ქმნის და გულისხმობს აქტორს, რომლის არსებობაც, ზოგიერთი მედიისთვის საკმარისია ახალი ამბების შესაქმნელად. ამიტომ ეს არის საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება: ინტერნეტ მომხმარებლები, მოქალაქეები დარწმუნებულები არიან, რომ ეს რეალურად არსებული ორგანიზაციაა. მათ არ იციან, რომ წარმოდგენილი პროექტი მოქმედებს პოლიტიკური ძალების ინტერესებიდან გამომდინარე და ვირტუალურ სივრცეში შექმნილ იმიჯთან ბევრი არაფერი აქვს საერთო.

შესაძლო შედეგები: პრაქტიკულად შეუძლებელია "შავი ინფორმაციული ტექნოლოგიის" შედეგის წინასწარ განჭვრეტა, მაგრამ საინტერესოა რამდენად იღებენ ამით სარგებელს ინტერესთა ჯგუფები ხანგრძლივ პერსპექტივაში. რეალობის ამგვარი მანიპულაციის საკითხი თავისუფალი სივრცის პოზიტიურ ასპექტსაც ეჭვქვეშ აყენებს. როდესაც ვირტუალუირ სივრცეში წარმოდგენილი რეალობა სადაოა, სხვა დანარჩენი აგრეთვე მკაცრი განხილვის საგანი ხდება.
მიუხედავად ამისა, არ შეგვიძლია უარვყოთ **ონლაინ-ლობირების უპირატესობა** და უარი ვთქვათ მის გამოყენებაზე საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსახდენად. **ონლაინ-ლობირება არის ინტერესთა ჯგუფების ლობისტურის ტრატეგიის უახლესი განვითარება.** აღნშნულმა სტრატეგიამ 2000–იანი წლების დასაწყისიდან მოიპოვა მზარდი პოპულარობა, რადგან იგი იყო ეფექტური, დროისა და რესურსების დამზოგავი სტრატეგია. სხვა უპირატესობებთან ერთად, ინტერნეტ ტექნოლოგიები გვთავაზობს ახალ შესაძლებლობებს ლობირების ინსტიტუტის ტრანსფორმაციისთვის, დემოკრატიასთან და საზოგადოების ინტერესების დაცვასთან მიმართებაში.

კლასიკური ლობირების სისტემაში შეინიშნება სამოქალაქო ლობირების არ არსებობა ან საზოგადოებრივი აზრის უგულვებელყოფა. ინტერნეტ ქსელები, როგორც გლობალური ხელმისაწვდომი ინფორამციის წყარო, შეიძლება და სავალდებულოცაა

გამოყენებულ იქნეს ლობირების მექანიზმების იმ ”საიდუმლოებათა” გამოსავლენად, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ძალაუფლების სტრუქტურებზე აქტიური ზეწოლის განხორციელება. (Perea & James, 2012). მათი დახმარებით ინტერესთა ჯგუფს და მისი წევრებს შეუძლიათ ერთად სწრაფად მუშაობა ნებისმიერი საკითხის მოსაგვარებლად, რათა გამოხატონ უფრო ფართო საზოგადოების ინტერესი, კონსულტაცია გაიარონ კომპეტენტურ პირებთან. ამიტომ, კომპიუტერულმა კომუნიკაციამ შესაძლოა სტიმული მისცეს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციების განვითარებას, ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

ლობირების პროცესის განვითარება გულისხმობს ინფორმაციის მოცულობის გაზრდას; იგი ხშირად საჭიროებს მაღალკვალიფიციურ საქმიანობას, რომელსაც აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა, სამართლებრივი საფუძველი და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის განუყოფელი ნაწილია. აშშ–ს სახელმწიფო ინსტიტუტი მიზნად ისახავს ლობირების დანერგვას განსხვავებული ინტერესების ჯგუფების, კავშირების, ასოციაციებისათვის, რომელიც ორგანიზებულია მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო ორგანოების საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ორგანოებზე გავლენის მოსახდენად.

ამ განმარტებაზე დაყრდნობით, ლობისტები, უმეტეს შემთხვევაში, შეიძლება იყვნენ პროფესიონალები, იურისტები, ყოფილი სახელმწიფო მოხელეები, ჟურნალისტები რომლებსაც აქვთ საჭირო კავშირები ხელისუფლებაში და ამავე დროს გარკვეული გამოცდილება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ლობისტური საქმიანობის წარმატებას მეტწილად განაპირობებს ლობისტის კავშირები ხელისუფლების მაღალ ეშელონებში და მისი დარწმუნების განსაკუთრებული ნიჭი. ჩამოყალიბებას.

როდესაც ხდება ინტერნეტ ქსელების გამოყენება როგორც ლობირების ინსტრუმენტის, იცვლება აქცენტები: ამ შემთხვევაში ლობისტის პროფესიონალიზმი

აღარ თამაშობს გადამწყვეტ როლს; საჭირო კავშირებისა და ლობირების წამახალისებელი ქმედებები რაც აქამდე უმთავრესი იყო ლობირების პროცესში, თანდათანობით მეორეხარისხოვანი ხდება მიწოდებული ინფორმაციის ხარისხსა და მასთან მუშაობის შესაძლებლობებთან შედარებით. ალბათ მიზანშეწონილი იქნება შემოვიტანოთ ლობირების ახალი „ტექნოლოგიური“ განმარტება.

ლობირება კომპიუტერული ქსელების საშუალებით არის – ერთი ან მეტი პირის მიერ ინფორმაციის გავრცელება კომპიუტერული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც ორიენტირებულია მიზნობრივ აუდიტორიაზე და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ჯგუფების განსხვავებულ ინტერესთა განხორციელებას. ეს ორგანიზაციები თავის მხრივ, შექმნილია მოქალაქეთა მიერ, რომლის მიზანია მიაღწიოს რომ სახელმწიფო ორგანოებმა განახორციელონ ის საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ცვლილებები, რომელიც აუცილებელია მათ მიერ იდენტიფიცირებული პრობლემის გადასაჭრელად.

კომპიუტერული ქსელების ახალი როლის განსაზღვრა, რაც გულისხმობს მისი როგორც ლობირების ინსტრუმენტის გამოყენებას, გარკვეულწილად უკვე აღიარებულია.

ბოლო დროის მიღწევები ისეთ დისციპლინებში, როგორიცა არის: ქსელური ტექნოლოგიები, სოციალური ფსიქოლოგია და პოლიტიკური მეცნიერებები, შესაძლებელს ხდის წინასწარ ვივარაუდოთ ზოგიერთი ფენომენის განვითარების პერსპექტივა. მაგალითად, სამი ასეთი სფერო სესაძლოა გახდეს: ა. კომპიუტერული ქსელის გამოყენება ლობირებისათვის როგორც ინფორმაციის წყაროსი;

ბ. კომპიუტერული ქსელის მეშვეობით პირდაპირი ინფორმაციული ზეწოლის განხორციელება, და გ. კომპიუტერის გამოყენებით უშუალო კომუნიკაციის დამყარება პიროვნებებთან, რომლებიც იღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

პროფესიონალი ლობისტისტი კარგად უნდა იცნობდეს მართვის სისტემას; იცოდეს გადაწყვეტილების მიღების სქემა, კოორდინირებას უნდა უწევდეს მოქმედი სისტემის აგენტების მოვალეობებსა და კომპეტენციებს გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე და შეეძლოს გადაწყვეტილების მიმღებთა პიროვნული თვისებების ამოცნობა. აუცილებელია წინასწარ იცოდეს მთავრობის ავტორიტეტების მიერ მისაღები

უახლოესი გადაწყვეტილებების შესახებ, რათა მოამზადოს არგუმენტები და შექმნას საზოგადოებრივი აზრი მათზე ზემოქმედების მოსახდენად.

იმ შემთხვევაში, თუ ძალაუფლებაზე ზეგავლენის მოხდენის ასეთი არხები არ მუშაობს, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა პოლიტიკური პროცესის მიღმა რჩება. ამდენად, ინტერნეტით ლობირების ეს ახალი მიდგომა აფართოებს სწრაფი და ორმხრივი კომუნიკაციის შესაძლებლობას, როდესაც ინფორმაცია მიედინება არა მხოლოდ ინტერესთა ჯგუფიდან – გადაწყვეტილების მიმღებამდე, არამედ ოფიციალური წყაროებიდან – ინტერესთა ჯგუფებისაკენაც. ლობირებისთვის საჭირო ინფორმაციის გამოქვეყნება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოქალაქეების ურთიერთობას მთავრობასთან. ქსელის ინფორმაციის უპირატესობაა მისი შედარებით დაბალი ფასი, ეფექტურობა, ხელმისაწვდომობა და ინფორმაციის მიწოდების ინტერაქტიულობა.

ნეგატიური ხასიათის ინფორმაციისთვის ანონიმურობა მნიშვნლოვანია. კომპიუტერულმა ქსელმა შესაძლოა ეს პირობა უზრუნველყოს. ლობისტების ქსელებთან მუშაობის უმარტივეს გზას წარმოადგენს ქსელში საჭირო ინფორმაციის ტირაჟირება. ამდენად საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ყურადღების გადატანა შეიძლება მეტად მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომ მათ დააჩქარონ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება–განხილვა, ან მომზადოს საფუძვლი ლობისტური ქმედებისთვის. **ტირაჟირების მექანიზმი** არის ძალიან მარტივი: ნებისმიერ სერვერზე განთავსდება ინფორმაცია, რომელზეც განთავსდება რეფერენსი იმ ვებ–გვერდების შესახებ რომელსაც შესაძლოა ყველაზე ხშირად ეწვიოს სამიზნე ჯგუფი. ამ ინფორმაციის ბმული ასევე განთავსებულია პოპულარულ მეილინგ–ლისტებსა და ნიუს–ჯგუფებში. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის ანონიმური ორგანიზაციები ფართოდ გამოიყენება პროპაგანდულ კამპანიაში ყველა სახის ინტერესთა ჯგუფის მიერ.

სოციალური ქსელი ასევე მუშაობს როგორც მძლავრი იარაღი მხარდამჭერთა ფართო წრის მოსაზიდად. ტერმინი "სოციალური ქსელი" ინტერნეტისა და თანამედროვე ინტერნეტ ქსელის გამოჩენამდე ბევრად ადრე 1954 წელს იქნა შემოტანილი მანჩესტერის სკოლის სოციოლოგის ჯეიმს ბარნის მიერ. თანამედროვე კონცეფცია,

ყველაზე მარტივი ფორმით, წარმოადგენს პიროვნების სამეგობრო წრეს, სადაც ეს პიროვნება სოციალური ქსელის ცენტრშია. მისი მეგობრები - სოციალური ქსელის განშტოებებია და ხოლო ამ ადამიანთა შორის ურთიერთობები - მათი კავშირი. „ონლაინ სოციალური ქსელი“ არის პროგრამული უზრუნველყოფის პლატფორმა ჯგუფების ან ჯგუფში ადამიანთა ინტერაქციისთვის. ინტერნეტი, ეს არის ვირტუალური ქსელი, რომელიც არის სერვისების მიწოდების საშუალება თავის მომხმარებლებსათვის, აგრეთვე ურთიერთობის დამყარების საშუალება მომხმარებლებსა და გლობალური ქსელის საიტებზე განთავსებული შესაბამისი საინფორმაციო რესურსებს შორის.

ინტერესთა ჯგუფს, მიჰყვება რა სოციალური მედიის მოთხოვნებს, შეუძლია წარმატებით აკონტროლოს საკუთარი მიღწევები საჭირო ინფორმაციის გამოყენებასა და გავრცელებაში როგორც მის წევრებისათვის, ასევე მის გარეთ მყოფი პირებისათვის. უფრო მეტიც, სოციალური ვებ-ქსელები საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად გვთავაზობენ უფრო იაფ და მარტივ გზებს და ამდენად, ამ სფეროში გარკვეულ უპირატესობას ფლობენ. მიუხედავად ამისა, სოციალური ქსელის ზეგავლენის ანალიზისას, ძალიან მნიშვნელოვანია შევისწავლოთ სოციალური ქსელის პროფილის პოპულარობის ეფექტურობა და მისი დახმარებით ვიმუშაოთ საძიებო სისტემაში. ასეთ შემთხვევაში ინტერესთა ჯგუფს შეუძლია მოიპოვოს ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

დღეისთვის, თითქმის ყველა აქტიური ინტერესთა ჯგუფი აშშ-ში იყენებს სოციალურ მედიასა და სოციალური მედიის მონიტორინგის ინსტრუმენტებს. ***„ეროვნული განათლების ასოციაცია“,*** რომელიც არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროფესიული ინტერესთა ჯგუფი ამერიკაში, აქტიურად ანახლებს ვებ-გვერდის შინაარსს და ასევე მონიტორინგს უწევს სოციალური მედიის გვერდს. **ინტერესთა ჯგუფი** მოუწოდებს მის წევრებს აქიუტრად შეამოწმონ მათი და სოციალური მედიის ვებ-გვერდებზე განთავსებული სიახლეები. არ არის რთული მათი ვებ-გვერდის პოვნა ინტერნეტში რადგან გუგლში ისეთი საძიებო სიტყვების გამოყენებისას, როგორიცაა ”განათლება, ინტერესთა ჯგუფები” მათ ვებ-გვერდს ერთ-ერთ პირველ პოზიციაზე ნახავთ. ასე

რომ, ის, ვისაც ამერიკის საგანმანათლებლო სისტემასთან დაკავშირებული ინტერესთა ჯგუფების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება სურს, პირველ რიგში, მათი ვებ-გვერდს გადაიკითხავს.

ვებ-გვერდი მონიტორინგს უწევს ასოციაციის წევრთა რაოდენობას (რაც დაახლოებით 2,963,121 წევრს ითვლის), და ასევე მოიცავს „**ფორუმს**“, სადაც შეუძლიათ განიხილონ ინტერესთა ჯგუფის საქმიანობის მნიშვნელოვანი საკითხები. ვებ გვერდსა და სოციალურ მედიაში გამოქვეყნებულ სტატიებზე რეაგირებასა და კომენტარებს აკონტროლებს **მოდერატორთა გუნდი.** ხოლო შემდეგ, პასუხს დასმულ კითხვებზე და პრობლემებზე გასცემს ინტერესთა ჯგუფის ოფიციალური წარმომადგენლები. ეს ხელს უწყობს ინტერესთა ჯგუფს უფრო გააღრმავოს და აქტიური გახადოს ურთიერთობა და პრობლემებზე მუშაობა, და უფრო ეფექტურად მიაღწიოს მიზანს.

თავდაპირველად, გასულ საუკუნეში, თუ ორგანიზაციის წევრები უნდა ყოფილიყვნენ ასოციაციის "კუნთები", სოციალური მედიის ეპოქაში უპირატესობა ენიჭება ფართო საზოგადოების მხარდაჭერას, მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარდამჭერთა მასები შეიძლება იყოს ხელოვნურად შექმნილი და გაერთიანებული. ინტერესთა ჯგუფები პოპულარობას გაცილებით სწრაფად იხვეჭენ ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით, როგორიცაა: ბლოგი, სოციალური ქსელი, ვებ-გვერდები, ეს კი, თავისმხრივ, ჩრდილს აყენებს მასმედიის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სანდოობას. ვირტუალური სამყარო მოქმედებს როგორც **ორი უხილავი ხელი რომელიც ქმნის აზრთა პლურამიზმის ილუზიას – ეს არის მისი უმთავრესი ბერკეტი.** ამის შემდგომ იგი დარაზმავს „ხალხის მასებს“ დასმული პრობლემის ირგვლივ და მიმართავს ამ ძალებს საჭირო მიმართულებით.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები გარკვეული სახის საფრთხის საფრთხის შემცველია, რაც ინტერესთა ჯგუფებს აძლევს საშუალებას მისი სტატეგიები გამოიყენოს უფრო ეფექტურად მიზნის მისაღწევად? რამდენად ორაზროვანი ან საშიშიც კი შეიძლება იყოს იგი? ჯერ კიდევ აშშ-ს დემოკრატიის გარიჟრაჟზე თომას ჯეფერსონმა გამოხატა ღრმა შეშფოთება ინტერესთა ჯგუფების როლსა და ფუნქციებთან დაკავშირებით. ასეთივე დამოკიდებულება გამოხატა

მრავალმა პოლიტიკოსმა, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ინტერესთა ჯგუფები დემოკრატიისთვის გარკვეული თვალსაზრისით საფრთხეს წარმოადგენს.

ინტერესთა ჯგუფის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მახასიათებელი არის მისი მხარდამჭერთა რიცხვი, რაც ნიშნავს რომ იდეას იზიარებს ადამიანთა დიდი რაოდენობა. დღეს ეს მოსაზრება შეიძლება ეჭქვეშ დავაყენოთ, რადგან არ არის მარტივი დავადგინოთ ჭეშმარიტება, რომელიც ჩაკარგულია ინტერენტის ლაბირინთებში. **„ჩრდილოვანი ბლოგერები“**ქმნიან მხარდამჭერთა ვირტუალურ რაოდენობას, რომლებიც სინამდვილეში არ არიან კონცენტრირებული დასახული პრობლემების გარშემო.

ახალი სოციალური მედიის ტექნიკისადმი ჩვენი ეჭვებისა და კრიტიკული შენიშვნების გამოთქმასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ დიდ უპირატესობას რომელიც სესაძლოა თან ახლდეს ამ საინფორმაციო საშუალებების გამოყენებას, რაც ჩვენი დისერტაციის ფარგლებში ნაჩვენებია ქეისის შესწავლის (case study) მეშვეობით. სახელდობრ, ***ეროვნული საგანმანათლებლო ასოციაციის ინტერესთა ჯგუფი*** არის შესანიშნავი მაგალითი იმისა თუ ზემოაღნიშნული როგორი წარმატებით იქნა გამოყენებული სოციალური მედია ტექნოლოგიები განათლებაში დაგროვილი ყველაზე მგრძნობიარე პრობლემების გადასაწყვეტად. ეს არის სფერო, რომლის მიმართაც საზოგადოებრივი ინტერესი ყოველთვის მაღალია. ამერიკის ისტორიის თანახმად, საზოგადოება ყოველთვის გრძნობდა პირდაპირ პასუხისმგებლობას მხარი დაეჭირა საგანმანათლებლო ინსტიტუციების წარმატებით განვითარებისთვის. ეს ამერიკული კულტურის ნაწილია, რაც განათლებაში საზოგადოების მაღალი ჩართულობით დასტურდება.

თავი 3. ქართული და ამერიკული ინტერესთა ჯგუფების კვლევა და მათი შედარებითი ანალიზი

მესამე თავში ორი საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფის კვლევა და შედარებითი ანალიზის შედეგებია მოცემული. ეს ჯგუფებია: *ეროვნული განათლების ასოციაცია* (აშშ) და *ახალგაზრდა პედაგოგთა გაერთიანება* (საქართველო). გარდა ამისა, ინტერესთა ჯგუფის მოქმედების ზოგადი პრინციპებისა და გარემოს შესასწავლად შემთხვევითი შერჩევის პრინციპით საქართველოშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გამოიკითხა განათლების სფეროს წარმომადგენლები.

ნაშრომის წინა თავებში განვიხილეთ ინტერესთა ჯგუფების და მათი ეფექტური მუშაობის მნიშვნელობა და ის სტრატეგიები, რომელსაც ფართოდ იყენებენ ამერიკაში, და გარკვეულწილად საწართველოშიც. ამიტომ, კვლევის მთავარი სამიზნე ჯგუფები იყვნენ საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტების მასწავლებლები საქართველოში.

კვლევის ძირითადი მიზანი იყო ორი ქვეყნის რესპოდენტებისაგან მიღებული პასუხები შეგვედარებინა იმ თვალსაზრისით თუ რამდენად ეფექტურად მოქმედებს ინტერესთა ჯგუფები საქართველოსა და აშშ-ში. სოციალური გამოკითხვის შედეგებს უნდა გამოევლინა არის თუ არა საჭიროება იმისა, რომ ინტერესთა ჯგუფებმა შეცვალონ საკუთარი სტრატეგიები მეტი საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად და მთავრობასთან ურთიერთობაში უკეთესი შედეგის მისაღწევად. კვლევისას მონაწილენი სრულად გაფრთხილებულნი იყვნენ ანონიმურობაზე.

კვლევიდან მიღებულმა შედეგებმა დაამტკიცა, რომ საქართველოში ინტერესთა ჯგუფებს ჯერ კიდევ სუსტად განვითარებული სტრუქტურა აქვთ. მიუხედავად ამისა, ორივე სამიზნე ჯგუფი თანხმდება, რომ ინტერესთა ჯგუფებისა და მათი აქტიურობა მეტად მნიშვნელოვანია. ასევე, გამოიკვეთა ფინანსური მხარდაჭერისა და ტექნოლოგიური სტრატეგიების ნაკლებობა, განსაკუთრებით ქართულ საზოგადოებრივ ჯგუფთან მიმართებაში. გამოთქმულ მოსაზრებათა შეჯამებისა და ანალიზის შედეგად გამოითქვა მოსაზრება, რომ მისაღებია რიგი გადაწყვეტილებებისა: 1. ინტერნეტი გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ

ინფორმაციული უზრუნველყოფისთვის, არამედ უფრო მასშტაბური, საჯარო მხარდაჭერის მოსაპოვებელ ინსტრუმენტად გადაიქცეს. 2. შემუშავდეს ინფორმაციის გავრცელების ახალი სტრატეგიები თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით;
3. ინტერესთა ჯგუფების საჯარო დაფინანსების სისტემის განვითარება მოხდეს იმ მიზნით, რომ ეს ინტერესთა ჯგუფები გახდნენ მეტად დამოუკიდებლები.

ინტერესთა ჯგუფებისა და მთავრობის უფრო აქტიური თანამშრომლობაც პრობლემატურია საქართველოში. განათლების სფეროს წარმომადგენელთა დიდი ნაწილი აცხადებს, რომ მიზნების მისაღწევად საჭიროა აქტიური კომუნიკაცია დამყარდეს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მთავრობას შორის, რადგან საქართველოში მთავრობასთან თანამშრომლობის ფორმები და საშუალებები უაღრესად შეზღუდულია. ზოგიერთი მათგანი აცხადებს, რომ არ არის საჭირო აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ საქმიანობაში.
დასანანია, რომ საქართველოში განათლების სფეროს წარმომადგენლები ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის ეფექტურობას მაღალ შეფასებას არ აძლევენ, 6%, რაც აშშ-ს შედეგებტან შედარებით დაბალია -8,5% .

აშშ-ს მაგალითმა აჩვენა, რომ მთავრობაში გადაწყვეტილების მიმღებებზე ზეწოლა ეფექტურად ხორციელდება და მაღალი მაჩვენებელი აქვს, რაც შეიძლება გახდეს ინტერესთა ჯგუფისა და მთავრობის, ინტერესთა ჯგუფისა და მედიის, ინტერესთა ჯგუფის წევრების თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარებისა და შემდგომი განვითარების საფუძველი.
განათლების სფეროს წარმომადგენელთა უმრავლესობა აღიარებს, რომ ინტერნეტ რესურსების გამოყენება მნიშვნელოვანია პრობლემური საკითხების განსახილველად. ამ შეთხვევაში, საქართველოში აქცენტები კეთდებოდა სოციალური მედია-რესურსების მნიშნვლეობაზე, მაშინ როდესაც აშშ-ში პოპულარულია განვითარებული სისტემების ვებ-გვერდების გამოყენება.
კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში, მხარდამჭერთა ფართო წრის მოზიდვასა და მიზნების მიღწევაში ინტერესთა ჯგუფებს ძირითადად ხელს უშლის შესაბამისი მეთოდოლოგიისა და სტრატეგიის არ არსებობა. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი

ორი ქვეყნის ინტერესთა ჯგუფების გამოცდილების გაზიარება. რა თქმა უნდა, კვლევის ფარგლებში შეუძლებელია სრულად მოვიცვათ მხარდამჭერთა ზრდის წარმატებული პროგრამის ყველა ასპექტი; მიუხდავად ამისა, დასკვნების გამოტანა მიღებული მონაცემებიდან შესაძლებელია.

ინტერესთა ჯგუფების პროგრამა მოითხოვს პრობლემისადმი სტრუქტურულ მიდგომას. ინტერესთა ჯგუფები მხოლოდ მედიასთან ურთიერთობას არ უნდა მიენდონ. მნიშვნელოვანია წარმოჩინდნენ არა მარტო როგორც იდეათა გენერატორები, არამედ როგორც მედია წყარო, რომელიც თანამედროვე ტენოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით მოახდენს იდეის პოპულარიზაციას. ინტერესთა ჯგუფის მიერ წამოყენებული იდეისადმი ყურადღების მიპყრობა რთული ამოცანაა და ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს არასამთავრობო ორგანიზაციები, ინტერნეტი, მედია, ლობისტები და მთავრობა.

ჩატარებულმა კველვამ საქართველოში ინტერესთა ჯგუფების საქმიანობაში არსებული მნიშვნელოვანი სტრუქტურული პრობლემები გამოავლინა. შემაჯამებელი რეკომენდაციები გულისხმობს აშშ-სა და ევროპის ქვეყნების პრაქტიკის დანერგვას მხარდამჭერთა ფართო წრის უფრო მეტად ჩართულობის მიზნით. ასევე, მნიშვნელოვანია იდეების გასავრცელებლად ახალი მედია-ინსტრუმენტების განვითარება და საჭირო პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბება, სპეციალიზებული მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც მოერგება ქვეყნის სოციო-კულტურულ ფონს. ინტერესთა ჯგუფის წევრთა მხრიდან აუცილებელია გაძლიერდეს ფინანსურ მხარდაჭერა რაც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ პოლიტიკურად მეტად თავისუფალი ორგანიზაციები თავისუფალი გამოხატვის უფრო ფართ შესაძლებლობებით.

როგორც კვლევის შედეგები გვაჩვენებს, საზოგადოებრივი ცნობიერება საქართველოში, რომელსაც მყარად აქვს გადგმული ფესვები კომუნალურ და სოციალისტურ ფსიქოლოგიაში, რთულად აღიქვამს არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტსა და მის ინტერესებს. მიუხედავად ამისა, დღეს შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული პროცესების განვითარებასთან ერთად, საქართველოში ყალიბდება

სამოქალაქო საზოგადოება სადაც ლობირება თანდათანობით დაიკავებს კუთვნილ ადგილს პოლიტიკურ რეალობაში, რადგან ის წარმოადგენს დემოკრატიის თანამგზავრს.

დასკვნა

ინტერესთა ჯგუფები მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ პოლიტიკურ სისტემაში. მათი წარმატებით ფუნქციონირება ეფუძნება მოსახლეობის განვითარებულ სამოქალაქო პოლიტიკურ კულტურას და გარანტირებულია სამოქალაქო თავისუფლებით.

ინტერესთა ჯგუფების მიერ საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოყენებულ მეთოდებს შორის შეიძლება გამოვყოთ **დარწმუნება და იძულება.** დარწმუნების ტექნიკა შეიძლება მოიცავდეს ღია და დაფარულ ტექნიკას, ლობირების სხვადასხვა ტაქტიკას, კანონმდებლებსა და მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლებზე პირდაპირ ზეწოლას.

ისევე როგორც მთავრობები და პარტიები, ინტერესთა ჯგუფებიც იყენებენ **პროპაგანდას**, რათა დაარწმუნონ საზოგადოება მათი მოთხოვნების ლეგიტიმურობაში. მაგალითად, ზეწოლის ჯგუფს, რომელიც მიზნად ისახავს თავის სასიკეთო საკანონმდებლო გადაწყვეტილების მიღებას, შეუძლია ორგანიზება გაუწიოს პროპაგანდისტულ კამპანიას ინტერნეტ სივრცეში ისეთ საზოგადოებრივ აქტივობებთან ერთად, როგორიცა არის აქცია და დემონსტრაცია. ამ პროცესებში ცნობილი და საპატივცემულო პირების ჩართულობა და მედია გაშუქება გაზრდის მათ მხარდამჭერთა და წევრთა რიცხვს.

ინტერესთა ჯგუფების მიერ გამოყენებული „იძულებითი მეთოდების“ სპექტრი მერყეობს საპროტესტო აქციებიდან (ქუჩის აქციები და დემონსტრაციები, გაფიცვები და ა.შ.) აქტიურ ლობირებამდე. მიაჩნიათ, რომ ამ მეთოდებს ძირითადად იყენებს ადამიანთა ის კატეგორია, რომელთაც არ გააჩნიათ სხვა შესაძლებლობა ავტორიტეტებამდე მიიტანონ საკუთარი შეხედულებები. ასეთი ქმედებები გულისხმობს საზოგადოების ინტერესის მობილიზებას გარკვეული ინტერესთა ჯგუფის პოზიციის სასარგებლოდ და ეს საერთო პრაქტიკაა.

საინტერესოა როგორ ხდება ინტერესთა ჯგუფების ინტერაქცია გადაწყვეტილების მიმღებებთან? რა არხებით ხდება იგი? განასხვავებენ სამ ძირითად გზას: პირდაპირი ზეგავლენა სახელმწიფო სტრუქტურებზე (ზემოდან-ქვემოთ ზეწოლა) და გავლენის არაპირდაპირი არხები - პოლიტიკური პარტიების (არჩევნებზე კანონმდებელთა მხარდაჭერა) და საჯარო აზრის (ქვემოდან-ქემოთ ზეწოლა) მეშვეობით. უნდა აღნიშნოს, რომ თუ რომელ მეთოდებს მიენიჭება უპირატესობა, დამოკიდებულია თავად ჯგუფის ბუნებაზე. მაგალითად, მატერიალური ინტერესების დამცველები ძალისხმევას პირდაპირ მიმართავენ აღმასრულებელ ორგანოებისაკენ, და განსაკუთრებით ბიუროკრატიის პასუხისმგებელ პირებზე. მაგრამ ჯგუფები, რომლებიც ხელს უწყობენ ისეთი იდეების პოპულარიზაციას, რომელთაც უფრო ფართო სოციალური მიზნები აქვთ, ამჯობინებენ გავლენა გააძლიერონ საზოგადოებრივ აზრზე. ინტერესთა ჯგუფებსა და ხელისუფლებას შორის პირდაპირი კონტაქტები შეიძლება განხორციელდეს პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელების სხვადასხვა ეტაპებზე. მაგრამ შედეგი მეტწილად დამოკიდებულია ინტერესთა ჯგუფის პოლიტიკურ წონაზე, რომელიც მის მიმართ საზოგადოებრივ მხარდაჭერაში გამოიხატება. ამრიგად, განათლების პოლიტიკის სფეროში ჩართული ადამიანების მიზანი არის ადეკვატური სტრუქტურის, სტრატეგიისა და ტაქტიკის მქონე ინტერესთა ჯგუფების კონსოლიდაცია, რაც მიზნად ისახავს მათი მიზნების სისრულეში მოყვანას უფრო ფართო სოციალური ჯგუფების და საბოლოო ჯამში, საზოგადიების საკეთილდღეოდ.

თანამედროვე საქართველოში, შეინიშნება მცდელობა, რომ საზოგადოების მიერ ორგანიზებულად წარმოდგენილი ინტერესების წარმოჩენა მოხდეს სახელმწიფო სტრუქტურებში. ინტერესთა ჯგუფები იწყებენ ფართო მხარდაჭერის მოპოვებას და ახალ, უფრო მაღალ დონზე განვითარებას. თუმცა, საერთო ჯამში, ინტერესთა ჯგუფების ინსტიტუციონალიზების პროცესი, ასევე, მათი მონაწილეობით პოზიციების კოორდინაციის პროცესი საქართველოში ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან.

საკანონმდებლო საქმიანობაში ჯგუფის საქმიანობის სფერო დამოკიდებულია პოლიტიკურ პროცესებში მათ რეალურ როლზე. მიზნების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა ლობისტური ტექნიკა. არჩევნების დროს, პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების ფინანსური მხარდაჭერა ინტერესთა ჯგუფების ლობირების ყველაზე ეფექტური გზაა. ეროვნული კანონმდებლობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ინტერესთა ჯგუფების მიერ საარჩევნო კამპანიების დაფინანსება შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არხი სახელმწიფოს როგორც საკანონმდებლო, ისე ადმინისტრაციულ საქმიანობაზე გავლენის მოსაპოვებლად. კიდევ ერთი აქტივობა პოსტ-საპარლამენტო დონეზე მოიცავს სასამართლო ინსტანციების ჩართვას ლობირების პროცესში. ორგანიზაციას შეუძლია გაასაჩივროს კანონი ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, რომელიც არღვევს მისი წევრების ინტერესებს. აშშ-ში, სადაც ფუნქციონირებს ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლების საჩივრების შედეგად, სხვადასხვა დონის სასამართლოების მიერ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული აქტების გაუქმების შემთხვევები არ არის იშვიათი.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენის მიზნით ინტერესთა ჯგუფების მიერ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა გზით ხდება. წარმატების მიღწევისათვის აუცილებელია რომ მოხდეს საზოგადოების ცალკეული სეგმენტების რეაქციის დიფერენცირებული პროგნოზირება: ადამიანები, რომლებიც აყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს (პოლიტიკოსები, მაღალი თანამდებობის პირები, ჟურნალისტები, ბლოგერები და ა.შ.), პოლიტიზირებული მოქალაქეები, პასიური ამომრჩევლები. საზოგადოებრივი აზრის მიზანმიმართული ფორმირება შეიძლება იყოს ეფექტური გზა საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოსახდენად. ამისათვის გამოიყენება პროპაგანდის სხვა და სხვა ტექნიკა, მაგალითად ისეთი, როგორიცაა ორგანიზებული PR კამპანიები, რაც საზოგადოების ცნობიერების მანიპულირების საშუალებას იძლევა. ამ საქმიანობაში უფრო მეტად მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება მედიასა და ვებ-მედიას. თუ პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს მედიის თავისუფლების გარკვეულ დონეს, ინტერესთა ჯგუფებს აქვთ შესაძლებლობა

გამოხატონ საკუთარი პოზიციები და გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე ეფექტური გავლენა მოახდინონ პრესის, რადიოს, ტელევიზიის და ინტერნეტის მეშვეობით. ნათელია, რომ ამ შემთხვევაში ზემოქმედება არ არის პირდაპირი. ინტერესთა ჯგუფები შედეგს აღწევენ არაპირდაპირი გზით საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით. ეს მეთოდი განსაკუთრებით სასურველია იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც მხარს უჭერენ იდეებს ან ფასეულობებს. ქართულ და ამერიკულ ინტერესთა ჯგუფების შესწავლის მაგალითზე გამოვლინდა, რომ მათ აქვთ საკუთარი გაზეთები და მათი კონტროლის ქვეშ მოქცეული რადიო ან სატელევიზიო არხები, რომელთა საშუალებითაც ისინი ინფორმაციას აწვდიან ხალხს და ქმნიან საზოგადოებრივ აზრს.

გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველაფერთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ფაქტორიც. ეს გულისხმობს არა მხოლოდ ფინანსურ რესურსებს, არამედ ზეწოლის ჯგუფის ორგანიზაციულ სტრუქტურას, ძალას და ხარისხს (საქმიანობა, სოლიდარობა, დისციპლინა, ლიდერთა გავლენა და ა.შ). ფინანსური რესურსების მნიშვნელობა მეტწილად დამოკიდებულია სიტუაციაზე. აშშ-ში, სადაც ინტერესთა ჯგუფები გავლენის მოსაპოვებლად ერთმანეთთან ღია კონკურენციაში არიან, ეს ფაქტორი, როგორც წესი, არ არის გადამწყვეტი და ადგილს უთმობს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ჯგუფის ფუნქციური მნიშვნელობა და საზოგადოებრივი აღიარება. საქართველოში, სადაც ფართო არის გავრცელებული პოლიტიკური კორუფცია, ფინანსები დამატებითი გავლენის ძალას იძენს. საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა არ არის აქტიური. ხოლო ის, ვინც აქტიურია ძირითადად ფინანსურ რესურს მოიპოვებს საერთაშორისო გრანტების ან სამთავრობო დახმარების მიღების ხარჯზე, რაც მათ ნაწილობრივ უზღუდავს თავისუფალი აზრის გამოხატვას და შესაბამისი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას. აშშ-ის მაგალითის საპირისპიროდ, სადაც ინტერესთა ჯგუფის ბიუჯეტი უმეტესწილად ეფუძნება მათი წევრების შემოწირულობებს, საქართველოში ინტერესთა ჯგუფები ფინანსურად დამოკიდებულნი არიან სხვებზე. მიუხედავად ამისა, ახალი ტექნოლოგიების საშუალებით შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრა, რადგან ონლაინ საბანკო სისტემების გამოყენებით ადამიანებს ადვილად

შეეძლებათ იმ პროგრამების მხარდაჭერა, რომელთანაც იზიარებენ გარკვეულ ინტერესებს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში რომელსაც აშშ და საქართველოც განეკუთვნებიან, დღეს თანამედროვე ტექნოლოგიები და მედია "მასების მიზიდვის იარაღი" გახდა. ინტერნეტის ახალმა ეპოქამ შეცვალა პოლიტიკური გარემოს მთელი იდეა და სისტემა, საარჩევნო კამპანიებისა და საკანონმდებლო საქმიანობის ძირითადი ფოკუსი გადატანილია პოპულისტურ სფეროში.

ქვემოთ მოცემული სქემა გამოხატავს პრობლემის აქტიური მოგვარების და ინტერესთა ჯგუფის მიზნის მიღწევის შეჯამებას თანამედროვე პოლიტიკური სტრუქტურების რეალობაში:



აშშ-ის ინტერესთა ჯგუფების მაგალითზე ჩამოყალიბებულ სქემაზე დაყრდნობით, შემუშავდა მიზნის წარმატებით მიღწევის თანმიმდევრულ ნაბიჯები.

1) პრობლემის იდენტიფიცირება ან ძირითადი ინტერესის დადგენა. ეს ნაბიჯი მოიცავს 3 ეტაპს:

ა) იმ პრობლემის განცხადება, რომელიც უნდა გადაწყდეს.

ბ) მიზნების ფორმულირება დადებითი შედეგის მისაღწევად, სტრატეგიების შექმნის გზით.

გ) ორგანიზაციის ფორმირება: გუნდისა და ადმინისტრაციული სტრუქტურის შექმნა, რომლებიც პრობლემის გადაჭრაზე იმუშავებენ.

2) აქტიურ მხარდამჭერთა მოზიდვა: სადისერტაციო ნაშრომში აღნიშნულია, რომ ინტერესთა ჯგუფების წევრები არიან მისი "კუნთები". მათ შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ჯგუფს არა მხოლოდ იდეებისა და მოსაზრებების გაზიარებით, არამედ მათი ყოველთვიური შემოწირულობის საფუძველზე ინტერესთა ჯგუფს შეუძლია ფინანსურად შეძლოს ორგანიზებული პროგრამის შესრულება და დარჩეს პოლიტიკურად ნეიტრალური.

3) საზოგადოების ფართო წრის მოზიდვა, მათ შორის ორგანიზაციის არაწევრებისაც. ეს ეტაპი მოიცავს ლობისტებისა და იდეების მიმდევრების ფართო საზოგადოებაში ინკორპორირებას.

4) მოზიდულ ჯგუფთა კონსოლიდაცია საჭიროა კონკრეტული მიზნების მისაღწევად. ეს ეტაპი მოითხოვს მედიის რესურსების შემდგომ გამოყენებას პრობლემებისა და საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების საშუალებების ასახსნელად.

5) ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება არის ძირითადი ქვაკუთხედი ინტერესთა ჯგუფების მიზნის - საზოგადოების ფართო მხარდაჭერის მოპოვების - მისაღწევად. მედიის პროგრესთან ერთად ინტერესთა ჯგუფები უნდა ადაპტირდნენ ახალ რეალობასა და ახალ ტექნოლოგიებთან. დღეისთვის ინტერნეტის, ვებ-გვერდების, სოციალური მედიის და ბლოგის გავლენის ზრდა ინტერესთა ჯგუფებს ავადლდებულებს ამ რესურსების აქტიურ გამოყენებას.

6) მედია გაშუქება - მას შემდეგ რაც იდეა ჩაეშვება ვირტუალურ სივრცეში, საჭირო ხდება მისი გაშუქება ტრადიციული მედიის საშუალებებით, რათა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით უფრო მეტი მხარდამჭერის მოზიდვა შესძლონ. თანამედროვე მედიის პრობლემა ისაა, რომ ინტერნეტი სავსეა ინფორმაციით, ამიტომ რთულია ამ ინფორმაციის მნიშვნელოვან ნაწილზე ყურადღების საჭირო დონის მიქცევა. ჟურნალისტებთან და ბეჭდური მედიის კომპანიებთან მჭიდრო ურთიერთობამ შესაძლოა საჯარო ყურადღება მიმართოს საჭირო ინფორმაციისაკენ.

7) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ცვლის პოლიტიკურ გარემოს. ინტერესთა ჯგუფები ქმნიან ლობირების სტრატეგიების დანერგვის საფუძველს.

8) თანამდებობის პირები განიცდიან ზეწოლას ქვემოდან, ასევე ნაშრომში აღწერილი ლობირების მეთოდებით მათზე ზეწოლა ხდება ზემოდან, რასაც მივყავართ სტრატეგიის საბოლოო სტადიამდე. ორივე ტიპის ზეწოლით, რომელსაც მე ვუწოდე "ჩაქუჩისა და გრდემლის" თეორია, თანამდებობის პირები ექცევიან დაბალი და ელიტარული ძალების ზეწოლის ქვეშ, რომლებიც მოითხოვენ ორგანიზაციის მთავარ ინტერესებზე დაყრდნობით მოქმედებას.

9) საბოლოო ჯამში, ინტერესთა ჯგუფი შედეგს აღწევს. მიუხედავად ამისა, მათ აქვთ მთელი რიგი მიზნები, რომლებზეც ერთდროულად მუშაობენ. ამ მიზნების პრიორიტეტების განსაზღვრა ხდება სახელმწიფოში არსებული საჭიროებებისა და პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით.

მიუხედავად ამისა, ამ სქემამ შესაძლოა იმუშავოს როგორც საზოგადოების შეცდომაში შეყვანის ფორმამ და მათი ყურადღება ცრუ პრობლემებეზე გადაიტანოს. როგორც აღინიშნა, ინტერესთა ჯგუფები მათთვის მნიშვნელოვან პრობლემებზე საზოგადოების ყურადღების მიზიდვის მიზნით იყენებს ისეთ შავ ვებ-სოციალურ–მედია-ტექნიკებს, როგორიცაა ცრუ ვებ-გვერდები, სოციალური ანგარიშები, გაერთიანებული ბლოგერები და ა.შ.

სამწუხაროდ, ინტერესთა ჯგუფები, როგორც წესი, გამოხატავენ გარკვეულ უმცირესობათა ინტერესებს, ამან შეიძლება გამოიწვიოს ახალი ამბების გაყალბება მხარდამჭერთა წრის გასაფართოვებლად. თანამედროვე ვებ-მედიაში მოჭარბებული ინფორმაციის გარემოში ასეთი მონაცემები შეუმოწმებლად ვრცელდება. თანამედროვე

ვებ-სოციალური ქსელების შესაძლებლობების გამოყენებით ინტერესთა ჯგუფებს შეუძლიათ მათი ეფექტური გამოყენება საზოგადოების ფართო წრეების დასარწმუნებლად, ან საზოგადოებრივი ინტერესის მცდარი სურათის შესაქმნელად. ამიტომ ეს ტექნოლოგიები წარმოადგენს საზოგადოების მანიპულაციის საფრთხეს და გადააქვს ადამიანთა ყურადღება მცდარ პრობლემებზე.

კვლევა ძირითადად ფოკუსირებული იყო საგანმანათლებლო ინტერესთა ჯგუფების საკითხებზე საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ორივე სახელმწიფოში ინტერესთა ჯგუფები აწყდებიან სხვადასხვა პრობლემას. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციათა სისტემა აშშ-ში უფრო კომპლექსური და განვითარებულია, რაც საშუალებას იძლევა ეს სისტემები ავიღოთ მაგალითად და პრაქტიკულად დავნერგოთ ქართულ პოლიტიკურ გარემოში. ორივე ქვეყნის დემოკრატიული სისტემა ცდის ჩატარების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, განათლების სისტემის ძირითად პრობლემებთან ერთად კვლევამ დამატებით გამოავლინა ის სტრუქტურული პრობლემები, რომელთაც ინტერესთა ჯგუფები აწყდებიან დღეს. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ინტერესთა ჯგუფები და მათი საქმიანობა ჯერ კიდევ დაბალ განვითარებულია.

ინტერესთა ჯგუფებისა და მთავრობის თანამშრომლობა მაღალ დონეზე წინააღმდეგობრივია. საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენელთა უმეტესობა აცხადებს, რომ მიზნების წარმატებით მისაღწევად არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მთავრობას შორის საჭიროა მეტი კომუნიკაცია.
მხარდამჭერთა ფართო წრის მოსაზიდად საჭირო მეთოდოლოგიისა და სტრატეგიების ნაკლებობა ორგანიზაციას უქმნის პრობლემებს მიზნის მიღწევაში.
სავარაუდოა, რომ ზემოთ მოყვანილი სქემებისა და სტრატეგიების მეშვეობით პრობლემების ნაწილობრივი მოგვარება შესაძლებელია. ინტერესთა ჯგუფების აქტიურობის დონე მაღალია შეერთებული შტატების ანალოგ დემოკრატიებში.
ინტერესთა ჯგუფები და განათლება მთავარი მექანიზმებია, რომელიც დემოკრატიის პროცესებს ამოძრავებს. ორივე – სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების სფეროს

განვითარებით საქართველოს დემოკრატიზაციის მთლიანი პროცესი უფრო დაჩქარდება და ეფექტური გახდება.

პროგრესი გარდაუვალია, მასთან ადაპტირება კი - ვალდებულება. ტექნოლოგიასა და მედიაში ცვლილებებით იცვლება ცხოვრების სტილი და პოლიტიკური გარემო. ახალი ქსელების თანამედროვე სინამდვილეში, სადაც ისტორიისთვის ცნობილი ყველაზე მაღალი საზოგადო აქტივობა ფიქსირდება, პოლიტიკური ორგანიზაციების ევოლუცია გადარჩენის საფუძველი ხდება. ინტერესთა ჯგუფის ინსტიტუტის განვითარება ხელს უწყობს საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას, რაც თავისმხრივ სახელმწიფოს დემოკრატიზაციის პროცესს ავითარებს.

პუბლიკაციების ჩამონათვალი:

Kurdashvili. L. , (2015). The Tendencies of Technological Political Culture of The Depression Era in the Movie “The Wizard of Oz”. *Journal in Humanities, International Black Sea University, Vol 4, Issue 1, p. 19-22.*

Kurdashvili. L., (2016). Origins of Civil Religion of the United States and Political Religion of the Soviet Union. *Journal in Humanities, International Black Sea University, Vol.5, Issue 1, p. 37-40*

Kurdashvili. L., (2016). Culture Industry vs. Fandom. Approaches to the American Broadcast Media. *Journal in Humanities, International Black Sea University, Vol 5, Issue 2, p. 40-44*

Kurdashvili. L, (2017). The effectiveness of the on-line lobbying as of the innovative strategies of the American Interest groups. *Journal in Humanities, International Black Sea University, Vol 6, Issue 1, in print.*